ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

9 თებერვალი, 2021 წელი

N19/36

ეგზ. N1

საზღვარგარეთ განათლების მიღების
ხელშეწყობის 2016 - 2019 წლების
ეფექტიანობის აუდიტი

სარჩევი

ტერმინთა განმარტება 4
შემაჯამებელი მიმოხილვა 5

1. შესავალი 8
   1.1 აუდიტის მოტივაცია 8
   1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები 9
   1.3 აუდიტის კრიტერიუმები 9
   1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია 10

2. ზოგადი ინფორმაცია 12
   2.1 სფეროს აღწერა 12
   2.2 კონკურსანტთა შერჩევა 14
   2.3 ხელშეკრულების მონიტორინგი და გასაჩივრება 15
   2.4 საერთაშორისო პრაქტიკა 16

აუდიტის მიგნებები 20
3. პროგრამების დაგეგმვა 20
   3.1 პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ნაკლოვანებები 20
   3.2 საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრის ნაკლოვანებები 24

4. პროგრამების განხორციელება 28
   4.1 კომისიის დაკომპლექტების ნაკლოვანებები 28
   4.2 კონკურსანტთა შერჩევის ნაკლოვანებები 29
   4.3 სწავლის პროცესში ბენეფიციართა მონიტორინგის ნაკლოვანებები 34
   4.4 შედეგების შეფასებისა და კურსდამთავრებულთა მონიტორინგის ნაკლოვანებები 36

ბიბლიოგრაფია 42

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

ცენტრი – სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი.

დირექტორი – სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

პროგრამა – საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

გრანტი – გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

ერთობლივი პროგრამები – საერთაშორისო სასტიპენდიო სქემით აშშ-სთან, საფრანგეთთან, უნგრეთთან და იტალიასთან სახელმწიფო ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული სასტიპენდიო პროგრამები.

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს სამთავრობო პროგრამის მიხედვით, ადამიანური კაპიტალი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ჩართული უნდა იყოს ეკონომიკურ საქმიანობაში. ადამიანური რესურსების განვითარებისთვის აუცილებელია კარგი განათლება და უნარების განვითარება.[1] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიის თანახმად, განათლების სისტემა წარმატების მისაღწევად საჭიროებს ძალისხმევის გაგრძელებას საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციისთვის, ცოდნის გაღრმავების გაძლიერებისთვის, აკადემიური პერსონალისა და კადრების, ასევე სტუდენტების საერთაშორისო მობილობისათვის.[2] ამ მიზნით, 2014 წელს შეიქმნა „საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ქვეპროგრამა", რომელსაც ახორციელებს სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყოფს სისტემაში არსებული მექანიზმები საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობასა და მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენს სისტემის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე, კერძოდ:

- ცენტრის მიერ დასაფინანსებელი პრიორიტეტული მიმართულებები არ ეფუძნება სისტემურ კვლევას, ამასთანავე, სამინისტრო არ მონაწილეობს აღნიშნული მიმართულებების ფორმირებაში. განათლების სისტემაში არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით.
- ცენტრს არ აქვს შემუშავებული სტუდენტთა საზღვარგარეთ საჭირო საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია. კომისია თითოეული ქვეყნისთვის ამტკიცებს ზღვრულ ოდენობას, თუმცა არ არსებობს კალკულაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთანავე, 2016 წლიდან არ განხორციელებულა ზღვრული ოდენობის კორექტირება სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით. განსხვავებულია ერთსა და იმავე ქვეყანასა და პერიოდში, სხვადასხვა სტუდენტზე ამ მიზნით გაცემული დაფინანსება.
- ცენტრს არ აქვს გაწერილი კომისიის წევრების შერჩევის კრიტერიუმები და მეთოდოლოგია. კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები არ არის დეტალური, იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას და საჭიროებს დამატებით განმარტებას. შედეგად, კომისიის წევრების მიერ კონკურსანტთა შეფასების პროცესში გამოყენებულია არათანაბარი მიდგომები.
- ცენტრში დანერგილი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს კონკურსის მესამე ეტაპის – აპლიკანტთა გასაუბრების პროცესის სრულად აღდგენის შესაძლებლობას, რაც ხელს უშლის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას და ამცირებს სანდოობას.

---

1 http://gov.ge/files/68_73407_808965_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83-%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%902019-2020.pdf

2 http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

- ცენტრისა და სამინისტროს მიერ არ არის დანერგილი შეფასებისა და მონიტორინგის საკმარისი მექანიზმები. კერძოდ, ცენტრს ეფექტიანობის შეფასების მიზნით არ ჩაუტარებია სათანადო კვლევა და ანალიზი. ამასთანავე, სამინისტროს არ შეუსწავლია ცენტრის საქმიანობა გამოყოფილი ფინანსური რესურსების პროდუქტიული და ეფექტიანი ხარჯვისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაფასებლად. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და ქვეყანაში დაბრუნების დასადგენად, ცენტრი არ ახორციელებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციას ან/და ინფორმაციის მოძიებას, მონიტორინგის სხვა მექანიზმების გამოყენებით.
- ცენტრის მიერ დაფინანსებული ბენეფიციარების 30%-ის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზება არ ხდება, რაც ეწინააღმდეგება პროგრამის ძირითად მიზანს და მიუთითებს პროგრამისა და გამოყოფილი ფინანსური რესურსების არაეფექტიანად მართვაზე.

გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სისტემის ფუნქციონირება.

რეკომენდაცია ცენტრსა და სამინისტროს:

რეკომენდაცია N 1

რესურსების პროდუქტიული და ეფექტიანი გამოყენების მიზნით, შესაბამისი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნეს იმ მიმართულებებისა და დარგების იდენტიფიცირება, სადაც არსებობს კვალიფიციური კადრების საჭიროება, თანხვედრაშია ქვეყნის მიზნებთან და გათვალისწინებულ იქნეს ისინი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას.

რეკომენდაციები ცენტრს:

რეკომენდაცია N 2

ბენეფიციარებისათვის საზღვარგარეთ საცხოვრებლად საჭირო თანხების პროდუქტიულად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს ასანაზღაურებელი თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დიფერენცირებული იქნება ცალკეული ქვეყნის მიხედვით. ამასთანავე, საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობები დაეფუძნოს შესაბამის კალკულაციებს და ეკონომიკური პარამეტრების მკვეთრი ცვლილების პირობებში, გათვალისწინებულ იქნეს მათი პერიოდული კორექტირების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N 3

კონკურსანტთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის ამაღლების მიზნით, შემუშავდეს კომისიის წევრების შერჩევის მეთოდოლოგია, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმები, პროფესიული და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როტაციის პირობები და ვადები.

რეკომენდაცია N 4

კონკურსანტთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, დეტალურად იქნეს განმარტებული შეფასების თითოეული კრიტერიუმი, რათა შემცირდეს კომისიის წევრების მხრიდან კრიტერიუმების განსხვავებული ინტერპრეტაციისა და კონკურსანტთა მიმართ არათანაბარი მიდგომის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N 5

კონკურსის პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს კონკურსის მესამე ეტაპის – კონკურსანტთა გასაუბრების პროცესის სრულად აღდგენის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N 6

პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის შესაფასებლად, მიღებულ იქნეს ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან და განხორციელდეს გრანტის მიმღებთა მხრიდან ვალდებულების შესრულების პერიოდული მონიტორინგი. ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს ხელშეკრულების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება, შეფასდეს მათი თანხვედრა ცენტრის მიზნებთან და მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაცია სამინისტროსა და ცენტრს:

რეკომენდაცია N 7

შეფასდეს პროგრამის მიზნების მიღწევის მაჩვენებლები, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები სახელმწიფო რესურსების ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენების მიზნით.

1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, საქართველოში საერთაშორისო განათლების ხარისხის, აკადემიური პროგრამებისა და თანამშრომლობის განვითარება და ქვეყნის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, განათლებასა და მეცნიერებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობის ამაღლებას და პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელი პირობაა. სამინისტროს ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება. სტრატეგიის მიხედვით, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია ეროვნული სისტემების ნაყოფიერებისა და განვითარების ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა.[3]

სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას – საქართველოს მოქალაქეებმა საზღვარგარეთ მიიღონ განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მიღებული ცოდნის რეალიზება საკუთარ ქვეყანაში განაგრძონ. სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის დასრულების შემდგომ – სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების კურსდამთავრებულები საქართველოში უნდა დაბრუნდნენ და საქმიანობა განაგრძონ შესაბამის სფეროში, 3 წლამდე ვადით.

2014-2019 წლებში ცენტრმა 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. პროგრამის ბიუჯეტმა ამ პერიოდში შეადგინა 33,456,451 ლარი.[4]

სამინისტროსა და ცენტრის მიერ სათანადოდ არ განხორციელებულა მიღწეული შედეგების კვლევა და ანალიზი. კერძოდ, არ არის სრულად შეფასებული დასახული მიზნების მიღწევის პროგრესი – არის თუ არა საზღვარგარეთ მიღებული განათლება ქვეყანაში სათანადოდ რეალიზებული.

---

3 http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

4 https://iec.gov.ge/Portals/0/Tripleti%20Bolo%20Samushao%20Globusi%20Ana%20Bolo%20Sachvenebeli%20Test%203.pdf?ver=2019-11-25-174638-170&timestamp=1574689790991

1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს რამდენად პროდუქტიული და ეფექტიანია საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები.

აუდიტის კითხვებია:

1. რამდენად სათანადოდ არის დაგეგმილი პროგრამები?
   1.1 რამდენად თანხვედრაშია გაცემული გრანტები ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებთან?
   1.2 რამდენად პროდუქტიულად ხორციელდება ბენეფიციარებისთვის საყოფაცხოვრებო თანხების ანაზღაურება?
2. რამდენად ეფექტიანად ხორციელდება პროგრამები?
   2.1 რამდენად ადეკვატურად ხორციელდება ცენტრის მიერ კანდიდატთა შერჩევა?
   2.2 რამდენად უწყობს ხელს სისტემაში განხორციელებული ღონისძიებები გრანტის მომპოვებელს მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზებას?

1.3 აუდიტის კრიტერიუმები

საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობისთვის განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით, აუდიტის პროცედურების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- შესაბამისი უწყებების სტრატეგიები;
- საერთაშორისო პრაქტიკა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 – სტრატეგია ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროს მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. დოკუმენტის ერთ-ერთი მიზანია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის. უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება კი სამინისტროს ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა.[5]

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №201 დადგენილება – „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით განსაზღვრულია ცენტრის მიერ გრანტის გაცემის მიზნები და წესები, გრანტის მიმღების ძირითადი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. დოკუმენტში ასევე გაწერილია გრანტის დაბრუნების წესები და გრანტის გაცემის შეზღუდვები.

5 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №180/ნ ბრძანება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ცენტრი შექმნილია საერთაშორისო სასწავლო აკადემიური პროგრამების განვითარების და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, რაც ემსახურება საქართველოს როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში დასაქმებული კვალიფიციური კადრების მომზადებას. დებულებით განსაზღვრულია ცენტრის ფუნქციები და სტრუქტურული ერთეულები, ცენტრის დაფინანსებისა და მართვის საკითხები.

სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული პროგრამები – დოკუმენტით მტკიცდება თითოეულ წელს ცენტრის მიერ გამოცხადებული ცალკეული სასტიპენდიო პროგრამა. მასში განსაზღვრულია სასტიპენდიო პროგრამების აღწერა, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. პროგრამაში გაწერილია პრიორიტეტული მიმართულებები, საკონკურსო ვადები და მოთხოვნები. ასევე აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და დაფინანსების წესები.

1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი. აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2016-2019 წლები. ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია აუდიტის წინა და შემდგომი პერიოდების ინფორმაცია.

აუდიტის საგნად განისაზღვრა საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

საკითხების შესასწავლად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი ძირითადი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად განხორციელდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. **რამდენად სათანადოდ არის დაგეგმილი პროგრამები?** – აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა და გააანალიზა ცენტრის მიერ პროგრამების ფარგლებში დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებები, მოიძია და გაეცნო ცენტრის, სამინისტროს და სხვა დარგობრივი სამინისტროებისა და ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. ჯგუფმა ჩაატარა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები, გააანალიზა დაფინანსებული აპლიკანტების მონაცემთა ბაზები და შეისწავლა შერჩეული 108 ბენეფიციარის გრანტის შესახებ ხელშეკრულებები. აუდიტის ჯგუფმა განახორციელა ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების ანალიზი.
2. **რამდენად ეფექტიანად ხორციელდება პროგრამები?** – აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ განხორციელებული თითოეული პროგრამის მიხედვით დამტკიცებული კრიტერიუმები, ჩაატარა შესაბამის პირებთან ინტერვიუები. შეარჩია და დეტალურად

შეისწავლა 2018-2019 წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის კონკურსის მე-2 და მე-3 ეტაპებზე კომისიის თითოეული წევრის მიერ თითოეულ კრიტერიუმში 137 კონკურსანტისთვის დაწერილი ქულები. აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა დაფინანსებული აპლიკანტების მონაცემთა ბაზები, შეისწავლა წლებისა და სასტიპენდიო პროგრამების მიხედვით საგრანტო ხელშეკრულებით გაწერილი ვალდებულებები. ბენეფიციართა მხრიდან ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით, გარე წყაროებიდან, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან მოიპოვა ინფორმაცია ცენტრის 640 ბენეფიციარის მიერ ქვეყნის საზღვრის კვეთისა და 2020 წელს საქართველოში დასაქმების ადგილების შესახებ.

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 სფეროს აღწერა

სამინისტრო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოა და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას.[6]

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს. 2016 წლის 15 დეკემბრამდე ცენტრი ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კონტროლს, ხოლო მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №549 დადგენილების საფუძველზე ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს განათლების სამინისტრო.[7] ცენტრი ახორციელებს საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ქვეპროგრამას, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადებას.

ქვეპროგრამის მიზანია:[8]

- საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდა;
- სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ინტეგრირება საუნივერსიტეტო საქმიანობაში;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, ქვეყნის აკადემიური სივრცისთვის საჭირო აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება და საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;
- ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა და კურსზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით;
- საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ხარისხის მიღების ხელშეწყობა, საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში;
- რეგიონული უნივერსიტეტების საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

---

6 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება, მუხლი 2, პუნქტი 1.

7 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3465235?publication=0

8 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, გვ. 150.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

2016-2019 წლებში ქვეპროგრამის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 27,085,000 ლარი, ხოლო 2020 წელს ბიუჯეტი განსაზღვრულია 6,980,000 ლარით.

დიაგრამა №2.1.1 საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ხარჯი 2016-2019 წლებში:



ცენტრის მიერ გრანტი შეიძლება გაიცეს ფიზიკურ პირზე მხოლოდ კონკურსის გზით, ხოლო კონკურსის გარეშე გრანტის გაცემა შესაძლებელია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე – განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციაზე, მხოლოდ საკონკურსო პროგრამის განხორციელების მიზნით.

გრანტის გაცემის ძირითადი პირობები:

- გრანტი არ გაიცემა ერთი პირის მიმართ ორჯერ, ერთსა და იმავე საფეხურის აკადემიურ პროგრამაზე სწავლის ან/და ერთსა და იმავე კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამის გავლის მიზნით. ის შეიძლება გაიცეს კონკურსის საფუძველზე, ერთი აკადემიური წლისათვის სრულად ან ნაწილობრივ;
- ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამაზე მომდევნო სასწავლო წლისათვის გრანტის გაცემის საფუძველია გრანტის მიმღების მაღალი აკადემიური შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი სასტიპენდიო პროგრამით შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი პირობები;
- გრანტი, საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაიცემა არა უმეტეს 3 თვის ხანგრძლივობის შესაბამის პროგრამაზე;
- შერჩეული კანდიდატისათვის გამოსაყოფი გრანტი შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ ფარავდეს სწავლის/კვალიფიკაციის ამაღლების, სწავლასთან/ კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან/და სწავლის/კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდში შესაბამის ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გრანტის მიმღები, რომელმაც გრანტი მოიპოვა უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე სწავლის მიზნით, უნდა დაბრუნდეს საქართველოში სწავლის დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, დარჩეს ქვეყანაში 3 წელი და დასაქმდეს საქართველოში, შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში. მან ასევე უნდა წარადგინოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების/კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცენტრის მიერ განხორციელებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, 2014-2019 წლებში ბენეფიციარები დაფინანსებულნი არიან შემდეგი მიმართულებით:

დიაგრამა № 2.1.2 სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით დაფინანსებული ბენეფიციარები მიმართულებების მიხედვით



2.2 კონკურსანტთა შერჩევა

ცალკეული სასტიპენდიო პროგრამების მიხედვით, ცენტრი აცხადებს კონკურსს, ხოლო გამარჯვებულ აპლიკანტთან ფორმდება ხელშეკრულება დაფინანსების თაობაზე. აღნიშნული პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

დიაგრამა №2.2.1 სასტიპენდიო პროგრამების კონკურსის პროცესი

კონკურსის დასრულების შემდგომ, აპლიკანტი ითხოვს დასაფინანსებელი თანხის ოდენობას, ცენტრის მიერ დაფინანსება გაიცემა სრულად ან ნაწილობრივ. სრული დაფინანსება გულისხმობს აპლიკანტის მიერ მოთხოვნილი თანხის სრულ დაფინანსებას, ხოლო ნაწილობრივი – მოთხოვნილი თანხის გარკვეული პროცენტით დაფინანსებას.

კონკურსი შედგება სამი ეტაპისგან. **პირველ ეტაპზე** ხორციელდება ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციული შემოწმება ცენტრის აკადემიური პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების სამსახურის მიერ.

მეორე ეტაპზე ხორციელდება ელექტრონული განაცხადების შინაარსობრივი შეფასება. კომისია წინასწარ გაწერილი და დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. მეორე ეტაპზე კონკურსანტის აპლიკაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- განათლება;
- სამუშაო გამოცდილება;
- მოტივაცია;
- სახელმწიფოებრივი ხედვა;
- განცხადების საერთო სიძლიერე.

მესამე ეტაპია გასაუბრება. კომისია აპლიკაციის დადებითი შეფასებით შერჩეულ კანდიდატებს უტარებს გასაუბრებას, რაც საბოლოოდ ხდება მათი გამარჯვების ან კონკურსიდან გამოთიშვის საფუძველი.

2014-2019 წლებში სისტემაში რეგისტრირებულია 3,448 განაცხადი, ხოლო ცენტრის მიერ დაფინანსებულია 640 პირი (19%). სასტიპენდიო პროგრამებიდან ყველაზე მეტი განაცხადი ყოველ წელს გაკეთებულია სამაგისტრო პროგრამებზე და შესაბამისად, დაფინანსებულთა უმეტესი ნაწილიც ამ საფეხურზეა.

2020 წლამდე აპლიკანტის საბოლოო ქულა ფორმირდებოდა მეორე და მესამე ეტაპების ქულათა ჯამით, ხოლო 2020 წლიდან ქულები გაიყო და ამჟამად კონკურსანტისთვის გადამწყვეტი გახდა მხოლოდ მესამე ეტაპის ქულათა ჯამი. აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ მიღებული პრაქტიკა განსხვავდება საერთაშორისოდ მიღებულისაგან, მაგალითად, „ერასმუსის“ (Erasmus) პროგრამაზე აპლიკანტების რანჟირება ხორციელდება მათ მიერ შერჩევის ყველა ეტაპზე მიღებული ქულების ჯამის გათვალისწინებით.[9]

გამარჯვებულ კანდიდატებთან ერთად დგება სარეზერვო სიაც. ცენტრი გამარჯვებულ აპლიკანტებთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც გაწერილია ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები.

2.3 ხელშეკრულების მონიტორინგი და გასაჩივრება

განათლების საერთაშორისო ცენტრსა და გამარჯვებულ აპლიკანტს შორის ხელშეკრულების გაფორმების დასრულების შემდგომ, ცენტრი იწყებს ბენეფიციარის მიერ შესაბამისი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

ცენტრსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია გრანტის მიმღების ძირითადი უფლებები და ვალდებულებები.

9 http://masternursing.emjmd.eu/admission/selection

დიაგრამა №2.3.1 გრანტის მიმღების ძირითადი ვალდებულებები



ხელშეკრულების მიხედვით, გრანტის მიმღებს უფლება აქვს მიმართოს საკონკურსო კომისიას თხოვნით, რათა სწავლის დასრულებიდან არა უმეტეს ერთი წლის ვადით მიეცეს საზღვარგარეთ დარჩენის უფლება, შესაბამის სფეროში/მიმართულებით სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით. 2019 წლიდან, მთავრობის დადგენილების მიხედვით, გრანტის მიმღებმა დარჩენის უფლება უნდა მოითხოვოს სწავლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს აღნიშნულ უფლებას. მიმართვის ვადის განსაზღვრამდე, ცენტრში ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარები სწავლის დასრულებიდან 3-8 თვის შემდეგ მიმართავდნენ დარჩენის უფლების მოთხოვნით. გამოცდილების დაგროვების მიზნით საზღვარგარეთ დარჩენის შემთხვევაში, სტუდენტმა თავად უნდა მოიძიოს და დააფინანსოს საყოფაცხოვრებო ხარჯები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაფინანსებული პირი ვალდებულია დააბრუნოს ცენტრისგან მიღებული დაფინანსება, შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება არ სრულდება, ცენტრი მიმართავს სასამართლოს, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.4 საერთაშორისო პრაქტიკა

I. გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამები – DAAD

DAAD გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტური ორგანიზაციების გაერთიანებაა. ორგანიზაციაში მოქმედებს რამდენიმე სხვადასხვა კომიტეტი: აღმასრულებელი კომიტეტი, წევრები, ნდობის საბჭო და შესარჩევი კომისიები. DAAD-ის სტიპენდიების მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატების დაფინანსების საკითხებს წყვეტს დამოუკიდებელი შესარჩევი კომისია, ჰონორარის სანაცვლოდ. კომისიის წევრები არიან უნივერსიტეტის ლექტორები, ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში – ექსპერტები ეკონომიკის სფეროდან, სამინისტროების, უნივერსიტეტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. DAAD-ის ყოფილი სტიპენდიანტებიც მონაწილეობენ აპლიკანტების შერჩევაში. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა განსხვავებულია პროგრამების, სამიზნე ჯგუფებისა და ქვეყნების მიხედვით.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი ბალანსი უწყვეტობასა და განახლებას შორის, კომისიის წევრებს ნიშნავს DAAD-ის აღმასრულებელი საბჭო 4 წლის ვადით. შესარჩევი კომიტეტების წევრების დანიშვნის პრინციპები რეგულირდება შესაბამისი წესით.[10]

კომისიის წევრების დანიშვნის პრინციპები:

1. წევრების დანიშვნა და მოწვევა

შესარჩევი კომისიის წევრებს, როგორც წესი, ნიშნავს DAAD–ის დირექტორთა საბჭო. გარდა ამისა, წევრი (მიმომხილველი) შეიძლება დაინიშნოს ორგანიზაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ან მოწვეულ იქნეს ოფისის მიერ.

- **კომისიის წევრობის ხანგრძლივობა:** თითოეულ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს DAAD-ის შესარჩევ კომისიაში, მაქსიმუმ, 12 წლით. ხელახლა დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ 2-წლიანი პაუზის შემდეგ, ამ 2 წლის განმავლობაში აღნიშნული პირი არ უნდა იყოს შესარჩევი კომისიის წევრი.
- **ახალი დანიშვნები:** შესარჩევი კომისიის წევრებს საბჭო ნიშნავს 4 წლის ვადით.
- **ხელახალი დანიშვნები:** მოქმედი კომისიის წევრები საბჭოს მიერ შესაძლოა ხელახლა დაინიშნონ არა უმეტეს 2-ჯერ, ყოველ ჯერზე 4 წლის ვადით.
- **განმეორებითი დანიშვნები:** დანიშვნის პერიოდში განმეორებითი დანიშვნა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგალითად, როცა საჭიროა ვადამდე გადამდგარი წევრის ჩანაცვლება. აღნიშნულ საკითხს წყვეტს პრეზიდენტი.
- **სპეციალური მოწვევები:** როდესაც კომისიის მოქმედი წევრები არ ესწრებიან კომისიას ან კონკრეტული საკითხებია გადასაწყვეტი, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სპეციალური მიმომხილველები. სპეციალური მოწვევები ხელმოწერილი უნდა იყოს მენეჯმენტის მიერ. ის პირები, რომლებიც რეგულარულად იღებენ მონაწილეობას შესარჩევ შეხვედრებში, მუდმივად უნდა დაინიშნონ კომისიაში.

2. დანიშვნის მოთხოვნები:

- როგორც წესი, უნივერსიტეტის სრული პროფესორები შეიძლება დაინიშნონ ყველა შესარჩევ კომისიაში, შეუზღუდავად.
- უმცროსი პროფესორები, უნივერსიტეტისა და არასაუნივერსიტეტო საკვლევი ინსტიტუტების მკვლევართა ჯგუფის ლიდერები ასევე შეიძლება დაინიშნონ შესარჩევ კომისიაში, შეუზღუდავად.
- არასაუნივერსიტეტო კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები შეიძლება დაინიშნონ ყველა შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში, შეუზღუდავად.
- გერმანიის უნივერსიტეტებში სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური და სახელოვნებო პერსონალი ასევე შეიძლება დაინიშნოს შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში. ამის წინაპირობაა, რომ ისინი ფლობდნენ დოქტორის ხარისხს, ჰქონდეთ სპეციალური პროფესიული კვალიფიკაცია და ჰქონდეთ უფრო მაღალი აკადემიური კვალიფიკაცია, ვიდრე შესარჩევ კანდიდატებს.
- პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიაში შეიძლება დაინიშნონ ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა ექსპერტები სამინისტროებიდან, უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან, ასევე სტუდენტური ჯგუფების წარმომადგენლები.

10 https://www.daad.de/en/the-daad/who-we-are/organisational-structure/selection-committees/

- როგორც წესი, კომისიის წევრებად ნიშნავენ გერმანიის უნივერისიტეტებში მომუშავე პირებს. გარდა ამისა, შეიძლება კომისიაში დაინიშნონ საზღვარგარეთ მომუშავე პროფესორები და მაღალი რანგის მეცნიერები.
- უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც უკვე დატოვეს აქტიური სამსახური, შეიძლება ხელახლა იქნენ დანიშნულნი, ერთხელ – სრული დანიშვნის ვადით, ხოლო მათ, ვინც აქტიური სამსახური კომისიის წევრობის პერიოდში დატოვა, შეუძლიათ იმუშაონ დანიშვნის პერიოდის დასრულებამდე.
- პრეზიდენტი 2 წლის ვადით, კომისიის სრულუფლებიან წევრებად ნიშნავს DAAD-ის ყოფილ სტიპენდიანტებსაც, მათი გამოცდილებისა და ხედვების გაზიარების მიზნით. კომისიაში მათი დანიშვნის წინაპირობაა, რომ უნდა ფლობდნენ, სულ მცირე, იმავე აკადემიური საფეხურის კვალიფიკაციას, რასაც მათ მიერ შესარჩევი კანდიდატები.

3. კომისიის შემადგენლობა:

- შესარჩევი კომისია ისეა დაკომპლექტებული, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი დონის პროფესიული კომპეტენცია და რეგიონის ცოდნის გარანტიები. გარდა თავიანთ სფეროში მაღალი პროფესიული კომპეტენციისა, კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი ცოდნა მონათესავე დარგების შესახებ და დაინტერესებულნი უნდა იყვნენ მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროებით; უნდა გააჩნდეთ საერთაშორისო გამოცდილება და კონტაქტები, მაგალითად, ხანგრძლივი დაყოვნება საზღვარგარეთ, DAAD-ის სტიპენდიანტების ზედამხედველობა ან მონაწილეობა საზოგადოებრივ პროექტებში.
- DAAD ისწრაფვის შესარჩევი კომისიის შემადგენლობის მრავალფეროვნებისკენ.
- თითოეულ კომისიას უნდა ჰყავდეს, სულ მცირე, 3 ხმის უფლების მქონე წევრი, რათა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით.

აპლიკანტთა შერჩევა[11]

აპლიკაციების შერჩევას ახორციელებს დამოუკიდებელი შესარჩევი კომისია.

შერჩევის კრიტერიუმებია:

აკადემიური კვალიფიკაცია (დოკუმენტები: სერტიფიკატი, რეკომენდაცია, CV, ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი):

- აკადემიური მიღწევები და სწავლის ხანგრძლივობა.

შესასწავლი პროექტის ხარისხი (დოკუმენტები: სამოტივაციო წერილი, ინფორმაცია არჩეულ სამაგისტრო პროგრამაზე, რეკომენდაცია, ენის დამადასტურებელი დოკუმენტი; თუ შესაძლებელია, ჩარიცხვის წერილი გერმანული უნივერსიტეტიდან):

- პროექტის პრეზენტაციისა და მომზადების ხარისხი (წინასწარი ინფორმაცია, მასპინძელ დაწესებულებასთან კონტაქტი).
- მიზეზები, რატომაც შეარჩია აპლიკანტმა გერმანია (პირადი და აკადემიური მიზეზები, რის გამოც შეირჩა პროექტი და მასპინძელი ორგანიზაცია).

---

11 https://www2.daad.de/deutschland/stipendium/datenbank/en/21148-scholarship-database/?status=&origin=&subjectGrps=&daad=&intention=&q=&page=1&detail=50026200

- აკადემიურ სფეროში დარჩენის და ინტეგრაციის შესაძლებლობები, აკადემიური და პროფესიული ხედვების დაკავშირება.

დამატებითი კრიტერიუმები (დოკუმენტები: CV, თუ შესაძლებელია სერტიფიკატები):

- დამატებითი ცოდნა და უნარები, (მაგალითად, პროფესიული და მოხალისეობრივი საქმიანობა, კვალიფიკაციის ამაღლება).
- აკადემიურ თვითმმართველობასა და უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში მონაწილეობა.
- პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ოჯახური და სოციალური მდგომარეობა.

II. ევროკავშირის საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამა „ერასმუსი" (ERASMUS)

Erasmus+ არის ევროკავშირის პროგრამა, რომელიც ხორციელდება ევროპაში განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის ხელშესაწყობად. „ერასმუსის" ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის (Erasmus Mundus Joint Master Degrees) ფარგლებში, შემუშავებულია სტუდენტთა შერჩევის პროცესისა და სტიპენდიების მართვის წესები.[12] დოკუმენტში გაწერილია ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა იქნეს შესრულებული შერჩევის პროცესში, ასევე მითითებები, თუ როგორ უნდა წარიმართოს პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია კონკურსის პროცესის მართვის, სტიპენდიის მინიჭებისა და შემდგომი მონიტორინგის შესახებ. ინფორმაცია აპლიკაციის პროცედურების, განაცხადის ვადების, შედეგების სავარაუდო შეტყობინების დროის, გასაჩივრების ვადებისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ აპლიკანტებს უნდა ეცნობოთ აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადამდე, სულ მცირე, 3 თვით ადრე. აპლიკანტებს თითოეულ სასწავლო წელს განაცხადი შეუძლიათ შეიტანონ 3 განსხვავებულ სამაგისტრო პროგრამაზე.

კანდიდატების მიერ აპლიკაციის რეგისტრაციის შემდეგ მოწმდება მათი შესაბამისობა ისეთ კრიტერიუმებთან, როგორებიცაა: წარდგენის ვადების დაცულობა, აპლიკაციის სისრულე და პროგრამის მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობა. კანდიდატებს, რომელთა აპლიკაციებიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ დაუყოვნებლივ, ასევე განემარტებათ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზები და მიეწოდებათ ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურების შესახებ. შემდეგი ეტაპია აპლიკაციების ხარისხობრივი შეფასება. კანდიდატთა აპლიკაციების შეფასება ხორციელდება შერჩევის კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შეთანხმებულია კონსორციუმის წევრებს შორის და აერთიანებს პარტნიორ ინსტიტუციებსა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, გარე მხარის წარმომადგენლებს. აპლიკაციების შემფასებლები ხელს აწერენ ოქმს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რაც ხელს უწყობს თანაბარ მიდგომას კანდიდატების მიმართ. თითოეული სასტიპენდიო აპლიკაცია შეიძლება შეფასდეს ერთი, ორი ან ორზე მეტი შემფასებლის მიერ.

12 https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/student_selection_scholarship_management-final.pdf

აპლიკაციის ხარიხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

- ძალიან კარგი/გამორჩეული სწავლის შედეგები (აკადემიური წარმატება) შესაბამის სფეროში;
- აკადემიური პოტენციალი;
- ენის ცოდნის დონე;
- მოტივაცია;
- რეკომენდაციები;
- სამუშაო გამოცდილება და პროფესიული კვალიფიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გასაუბრების შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის გზამკვლევის მიხედვით,[13] სტიპენდია მოიცავს სტუდენტთა მონაწილეობის ხარჯებს (სწავლის საფასური, სრული დაზღვევა და ყველა სხვა სავალდებულო ხარჯი, რაც დაკავშირებულია სტუდენტის კურსში მონაწილეობასთან), სამგზავრო, დაბინავების ხარჯებს და სწავლის პერიოდში საჭირო საყოფაცხოვრებო ხარჯებს.

13 https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/resources/documents/erasmus-programme-guide-2020_en

აუდიტის მიგნებები

3. პროგრამების დაგეგმვა

3.1 პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ნაკლოვანებები

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტთა დაფინანსება ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და მათი ცოდნის რეალიზებას, ასევე აღნიშნული დარგების განვითარებას ქვეყანაში.

ცენტრის მიერ გამოცხადებული სასტიპენდიო პროგრამები ითვალისწინებს გრანტის გაცემას პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები 2014-2015 წლებში დამტკიცებული იყო პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით,[14] ხოლო მომდევნო წლებში ისინი გათვალისწინებული იყო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულ სასტიპენდიო პროგრამებში.

2017 წლამდე ცენტრი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამასთან ერთად ახორციელებდა სადოქტორო პროგრამასაც და, შესაბამისად, განსაზღვრული იყო ერთი და იგივე პრიორიტეტული მიმართულებები სწავლების ორივე საფეხურისთვის. 2017 წლიდან აღნიშნული პროგრამა გაიყო და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ხორციელდება დამოუკიდებლად. ცალკე გამოყოფის შემდეგ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებისთვის პრიორიტეტული მიმართულებები აღარ განისაზღვრება. ცენტრის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია ამ აკადემიური საფეხურის პოპულარიზაციისთვის, ახალგაზრდა მეცნიერთა წრის გაზრდის მიზნით.

პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებისთვის, არ შეცვლილა 2016 წლის შემდეგ. ასევე თითქმის უცვლელია პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით დაფინანსებული სტუდენტების განაწილებაც დარგების მიხედვით.

14 საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №455 და 2015 წლის 31 მარტის ბრძანება №102 „განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამების მიზნებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების დამტკიცების შესახებ“.

ცხრილი №3.1.1 საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებით 2014-2019 სასწავლო წლებში დაფინანსებული ბენეფიციარების პროცენტული განაწილება მიმართულებების მიხედვით:

პროფესიული მიმართულება	2014-2015	2015-2016	2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020
მენეჯმენტი			6%	7%	17%	15%
სოციალური მეცნიერებები	40%	36%	24%	17%	24%	31%
ჰუმანიტარული მეცნიერებები		5%	4%	9%	9%	8%
სამართალი	11%	13%	29%	16%	19%	15%
განათლება			6%	10%	4%	8%
არქიტექტურა	2%	2%	6%	10%	4%	8%
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2%	13%	4%	3%	9%	3%
აგრარული მეცნიერებები	2%	4%		10%	4%	8%
ინჟინერია	6%	11%	6%	9%	6%	3%
საჯარო მმართველობა			14%	9%	6%	3%
ბიზნესის ადმინისტრირება	13%	9%				
თავდაცვა და უსაფრთხოება	2%					
ხელოვნება	21%	4%				
ჯანდაცვა		2%				
ფინანსები		2%				

ცენტრის დირექტორის ბრძანებით,[15] 2019-2020 სასწავლო წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებისთვის პრიორიტეტულად განისაზღვრა შემდეგი პროგრამული მიმართულებები/დარგთაშორისი მიმართულებები/სპეციალობები:

- აგრარული მეცნიერებები;
- განათლება;
- ინჟინერია;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- სოციალური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- სამართალი;
- არქიტექტურა;
- საჯარო მმართველობა;
- მენეჯმენტი.

2016 წლამდე პრიორიტეტულ მიმართულებებად არ იყო განსაზღვრული არქიტექტურა და საჯარო მმართველობა, ხოლო მენეჯმენტის ნაცვლად ხორციელდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის დაფინანსება.

2019-2020 წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ცენტრის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, სულ დაფინანსებულია 39 სტიპენდიანტი შემდეგი განაწილებით:

15 სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №6-19 ბრძანება „სსიპ- განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2019-2020“ დამტკიცების შესახებ“, დანართი 1.

დიაგრამა №3.1.1 2019-2020 წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარები პროფესიული მიმართულებების მიხედვით



ცენტრის მიერ დაფინანსებული პრიორიტეტული მიმართულებები არ ეფუძნება სისტემურ კვლევას ან/და ანალიზს. ამასთანავე, სამინისტრო არ ადგენს და არც მონაწილეობას იღებს ცენტრის მიერ დაფინანსებული პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. სამინისტრო მხოლოდ ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანგარიშის განხილვის გზით არის ჩართული ცენტრის მიერ საკუთარი პროგრამების, მათ შორის, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში.

2018 წელს ცენტრმა საჭირო კადრების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით წერილი გაუგზავნა 12 სხვადასხვა სამინისტროს.[16] აქედან, 7 სამინისტროს პასუხების მიხედვით, ყველაზე დიდი მოთხოვნა ადამიანური რესურსის საჭიროებაზე დგას ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო და აგრარული მიმართულებებით. ამ სპეციალობებს უკვე ფარავდა ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები, თუმცა მიუხედავად გამოკითხვის შედეგებისა, დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობის განსაზღვრის დროს ამ პროფესიის კონკურსანტებისთვის პრიორიტეტი არ მიუნიჭებიათ. აღსანიშნავია, ისიც რომ მოცემულ მიმართულებებზე დაბალია ბენეფიციართა მხრიდან მიმართვიანობა.

სამინისტროებისთვის საჭირო მიმართულებებით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია. სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ინჟინერიის მიმართულებით დაფინანსებულია სტუდენტთა მხოლოდ 5%, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე – 7%, ხოლო აგრარულ მეცნიერებებზე – 4%. სადოქტორო პროგრამებზე კი ამ სამი მიმართულებიდან დაფინანსებულია მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – 14%.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო განსაზღვრავს და ამტკიცებს იმ პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებს,[17] რომლებზეც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს

16 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროები.

17 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №45/ნ ბრძანება „2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“.

სახელმწიფო. ცენტრი კი, თავის ბენეფიციარებს აფინანსებს დამატებით რამდენიმე მიმართულებაზე.

ცხრილი №3.1.2 მინისტრის ბრძანებითა და ცენტრის პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები

სამინისტრო	ცენტრი
აგრარული მეცნიერებები	აგრარული მეცნიერებები
განათლება	განათლება
ინჟინერია	ინჟინერია
საბუნებისმეყველო მეცნიერებები	საბუნებისმეყველო მეცნიერებები
სოციალური მეცნიერებები	სოციალური მეცნიერებები
ჰუმანიტარული მეცნიერებები	ჰუმანიტარული მეცნიერებები
მიმართულებათაშორისი დარგები	მიმართულებათაშორისი დარგები
X	სამართალი
X	საჯარო მმართველობა
X	მენეჯმენტი

ცენტრის ბენეფიციართა უმეტესი ნაწილი სწორედ განსხვავებულ მიმართულებებზე სასწავლებლადაა დაფინანსებული. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამებზე სამართლის მიმართულებით დაფინანსებულია ბენეფიციართა 14%, ხოლო მენეჯმენტის მიმართულებით – 11%.

ცენტრი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში არ ეყრდნობოდა არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2017 წელს განხორციელებულ შრომის ბაზრის ანალიზს[18] და არც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის არსებული და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევის[19] შედეგებს. ცენტრის განმარტებით, ჩატარებული კვლევა არ არის რელევანტური ცენტრის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3.2 საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრის ნაკლოვანებები

ცენტრი, სწავლის ღირებულების დაფინანსების გარდა, ბენეფიციარებს ასევე უზრუნველყოფს საზღვარგარეთ საცხოვრებლად საჭირო შესაბამისი თანხებით. ხელშეკრულებაში გრანტის ჯამურ ოდენობაში გამიჯნულია ბენეფიციარის სწავლისა და საცხოვრებელი თანხები. 2015-2019 წლებში ცენტრის მიერ ანაზღაურებულმა საყოფაცხოვრებო ხარჯმა შეადგინა, დაახლოებით, 12 მლნ ლარი, ხოლო სწავლის ღირებულებამ – 13 მლნ ლარი.

ცენტრს არ აქვს შემუშავებული სხვადასხვა ქვეყანაში საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ცენტრში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საყოფაცხოვრებო თანხების ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას კომისია ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას, თუმცა აღნიშნული პროცესი არ

18 http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=3f4d3d8f-e53a-4292-923e-ee2527bcb2f3

19 შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015 წელი,

არის სისტემატიზებული და დოკუმენტირებული. კომისია ყოველი ქვეყნისთვის ამტკიცებს ზღვრულ ოდენობას. თუ კონკურსანტს ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხა აქვს მოთხოვნილი, ხორციელდება ზღვრული ოდენობის ანაზღაურება, ხოლო ნაკლების მოთხოვნის შემთხვევაში, ანაზღაურდება მოთხოვნილი თანხა.

2014-2015 წლებში საყოფაცხოვრებო თანხების ზღვრული ოდენობები არ იყო დადგენილი ქვეყნების მიხედვით. მათი განსაზღვრა ხდებოდა ცალკეული ბენეფიციარის მიხედვით და განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. 2016 წლიდან კომისიის სხდომის ოქმებში აღნიშნულია, რომ კონკურსანტთა უმეტესი ნაწილი სწავლის პერიოდში საზღვარგარეთ ცხოვრებისთვის საჭირო ხარჯების ასანაზღაურებლად გაცილებით დიდი ოდენობის თანხას ითხოვდა, ვიდრე რეალურად ესაჭიროებათ სტუდენტური ცხოვრებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო ყოველი ქვეყნისთვის საცხოვრებელი ხარჯების ზღვრული ოდენობის დადგენა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომისიის მიერ არ არის დასაბუთებული, როგორია თითოეულ ქვეყანაში სტუდენტური ცხოვრებისთვის საჭირო მინიმალური ხარჯები და რა სახის კალკულაციებს ეფუძნება მათ მიერ განსაზღვრული ოდენობები სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. ამასთანავე, 2016 წლიდან მოცემული ზღვრული ოდენობები უცვლელია და არ არის გათვალისწინებული მიმდინარე პერიოდში სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის ცვლილება. მაგალითად, 2014 წელს აშშ-ში საცხოვრებელი თანხა კონკრეტულ ბენეფიციარებზე განისაზღვრა $14,000-ით, ხოლო 2016 წლიდან ზღვრული ოდენობა შეადგენს $12,000-ს. გარდა ამისა, ზღვრული ნორმების ოდენობა ერთი და იგივეა 10 სხვადასხვა ქვეყნისათვის. ობიექტის განმარტებით, საყოფაცხოვრებო თანხების ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას კომისია ეყრდნობა საერთასორისო პრაქტიკას, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის სისტემატიზებული და დოკუმენტირებული.

ცხრილი №3.2.1 ზღვრული ნორმების ოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში (EURO)

ქვეყანა	ზღვრული ნორმა
ავსტრია	8,000
ბელგია	8,000
გერმანია	8,000
დანია	8,000
ესპანეთი	8,000
ესტონეთი	8,000
ლიტვა	8,000
ნიდერლანდები	8,000
უნგრეთი	8,000
ჩეხეთი	8,000

აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 2014-2020 წლებში 14 სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მიღების მიზნით ცენტრის მიერ დაფინანსებული 61 ბენეფიციარი და შეისწავლა მათი საზღვარგარეთ ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯები. მათგან 6 ქვეყანაში დაფინანსებულ 12 ბენეფიციარს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე განსაზღვრული აქვთ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხა საყოფაცხოვრებო ხარჯების ასანაზღაურებლად. ერთი წლის, ერთი და იმავე სასტიპენდიო პროგრამის სტუდენტებს, ერთსა და იმავე ქვეყანაში საცხოვრებელი ხარჯები მათი მოთხოვნის საფუძველზე დაფინანსებული აქვთ ჯამში შემდეგი სხვაობებით:

ცხრილი №3.2.2 სხვაობები საყოფაცხოვრებო თანხების განსაზღვრაში

საკონკურსო პროგრამა	დაფინანსების წელი	ქვეყანა	საცხოვრებელი ხარჯები	ვალუტა	სხვაობა
საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო ქვეპროგრამა	2014-2015	აშშ	14,000	USD	12,400
			1,600		
საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა	2015-2016	პოლონეთი	1,500	EUR	4,580
			6,080		
საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა	2016-2017	უნგრეთი	6,600	EUR	1,400
			8,000		
საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა	2017-2018	ესტონეთი	2,000	EUR	6,000
			8,000		
საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა	2018-2019	ბელგია	8,000	EUR	1,500
			6,500		
საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა	2019-2020	ავსტრია	6,000	EUR	2,000
			8,000		

გარდა ამისა, მოცემულ ქვეყნებში საყოფაცხოვრებო ხარჯების ასანაზღაურებლად ბენეფიციარებისთვის განსაზღვრული თანხების საშუალო ოდენობები განსხვავდება (ნაკლებია) კომისიის მიერ გაწერილი ზღვრული ოდენობებისგან.

ცხრილი №3.2.3 საყოფაცხოვრებო თანხების საშუალო ოდენობის გადახრა ზღვრული ოდენობიდან

ქვეყანა	წელი	საშუალო ოდენობა	ზღვრული ოდენობა	გადახრა ზღვრული ოდენობიდან
ავსტრია	2019	7,000	8,000	13%
ბელგია	2018	7,700	8,000	4%
ესტონეთი	2017	5,000	8,000	38%
ესტონეთი	2016	6,250	8,000	22%
უნგრეთი	2016	7,300	8,000	9%

საყოფაცხოვრებო ხარჯების განსაზღვრის დეტალური მეთოდოლოგიის არსებობის პირობებში, რომელიც დაეფუძნება შესაბამის კალკულაციას და გათვალისწინებული იქნება თითოეულ ქვეყანაში სტუდენტისთვის საჭირო ყველა ხარჯი, საშუალებას მისცემს ცენტრს თანაბარი მიდგომით დააფინანსოს ბენეფიციარები და უზრუნველყოს სახელმწიფო სახსრების პროდუქტიული ხარჯვა.

დასკვნა

ცენტრის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრულია სისტემური კვლევისა და ანალიზის გარეშე. ამასთანავე, სამინისტრო არ მონაწილეობს პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. შედეგად, განათლების სისტემაში არ არსებობს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ერთიანი პოლიტიკა. აღნიშნული ზრდის რისკს, რომ ცენტრის მიერ დაფინანსდება ქვეყნისთვის ნაკლებად პრიორიტეტული მიმართულებები, რაც ეწინააღმდეგება მათზე მიმართული დაფინანსების საბოლოო მიზნებს და ხელს უშლის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებას.

ცენტრის მიერ არ არის შემუშავებული საზღვარგარეთ საყოფაცხოვრებო ხარჯების განსაზღვრის მეთოდოლოგია და არ არის გაწერილი ქვეყნების მიხედვით ასანაზღაურებელი ზღვრული თანხების კალკულაცია. ამასთანავე, არ ხორციელდება დადგენილი ოდენობების პერიოდული კორექტირება სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის გათვალისწინებით. საზღვარგარეთ ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობების კალკულაციის არარსებობის პირობებში, არსებობს რისკი, რომ ცენტრი სტუდენტებს არარელევანტური თანხით დააფინანსებს, რაც ზრდის სტუდენტთა საცხოვრებელი თანხების ანაზღაურების მიზნით მიმართული სახსრების არაპროდუქტიულად გამოყენებას.

რეკომენდაცია ცენტრსა და სამინისტროს:

რეკომენდაცია N 1

რესურსების პროდუქტიული და ეფექტიანი გამოყენების მიზნით, შესაბამისი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნეს იმ მიმართულებებისა და დარგების იდენტიფიცირება, სადაც არსებობს კვალიფიციური კადრების საჭიროება, თანხვედრაშია ქვეყნის მიზნებთან და გათვალისწინებულ იქნეს ისინი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას.

რეკომენდაცია ცენტრს:

რეკომენდაცია N 2

ბენეფიციარებისათვის საზღვარგარეთ საცხოვრებლად საჭირო თანხების პროდუქტიულად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს ასანაზღაურებელი თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დიფერენცირებული იქნება ცალკეული ქვეყნის მიხედვით. ამასთანავე, საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობები დაეფუძნოს შესაბამის კალკულაციებს და ეკონომიკური პარამეტრების მკვეთრი ცვლილების პირობებში, გათვალისწინებულ იქნეს მათი პერიოდული კორექტირების შესაძლებლობა.

4. პროგრამების განხორციელება

4.1 კომისიის დაკომპლექტების ნაკლოვანებები

გამარჯვებულის გამოვლენისა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია. პროგრამებში მონაწილე აპლიკანტთა შეფასებას კონკურსის მე-2 და მე-3 ეტაპებზე ახორციელებს აღნიშნული კომისია. სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამებს, შესაბამისი პროგრამის კომისიის შემადგენლობასა და უფლებამოსილებებს ამტკიცებს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საკონკურსო კომისია:

1. შეიმუშავებს და ამტკიცებს შეფასების კრიტერიუმებსა და ფორმებს.
2. იღებს გადაწყვეტილებას კვოტებისა და ქულობრივი ზღვრის დადგენის შესახებ.
3. განიხილავს და აფასებს ელექტრონულ განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტაციას.
4. იღებს გადაწყვეტილებას გამოსაყოფი დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
5. იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით არა უმეტეს ერთი წლით უცხო ქვეყანაში დარჩენის უფლების მინიჭების შესახებ.

საკონკურსო კომისიის საქმიანობას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ერთობლივ პროგრამებში პარტნიორები წარმოადგენენ კომისიის წევრთა უმრავლესობას.

კომისიაში წევრების შერჩევა და მოწვევა ხორციელდება ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით. წევრობის კანდიდატებს ეგზავნებათ ოფიციალური მოწვევის წერილი და მათი თანხმობის საფუძველზე მტკიცდება საკონკურსო კომისია. კომისიის დამტკიცების შემდეგ ინფორმაცია საჯაროვდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულია საკონკურსო კომისიის წევრების ცვლილება გარკვეული პერიოდულობით. ამასთანავე, დეტალურად არის გაწერილი კომისიის წევრების დანიშვნის პრინციპები და პირობები, ხოლო კომისიის შემადგენლობა განსხვავებულია პროგრამების, სამიზნე ჯგუფებისა და ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამების, DAAD-ის საკონკურსო კომისია მტკიცდება 4 წლის ვადით,[20] ხოლო წევრობის აუცილებელი პირობაა მოცემული მიმართულებით კანდიდატთა პროფესიული კომპეტენცია და კვალიფიკაცია.

ცენტრში არ არის გაწერილი კომისიის წევრების შერჩევის კრიტერიუმები, არ არის დასაბუთებული: რას ეფუძნება თითოეულ პროგრამაში მოწვეული კომისიის შემადგენლობა, რა პერიოდულობით უნდა ხორციელდებოდეს წევრების ცვლილება კომისიაში და ერთდროულად რამდენი სასტიპენდიო პროგრამის საკონკურსო კომისიაში შეიძლება მონაწილეობდეს კომისიის თითოეული წევრი. ასევე არ არის განსაზღვრული, რა კვალიფიკაციას უნდა ფლობდეს საკონკურსო კომისიის წევრი და რა პროფესიის წარმომადგენლებით უნდა იყოს დაკომპლექტებული კომისია კონკრეტული სასტიპენდიო პროგრამის მიხედვით. ცენტრის განმატებით, გამოცდილებიდან გამომდინარე, კომისიის წევრების შერჩევა ხდება გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის გაწერილი.

20 https://www.daad.de/en/the-daad/who-we-are/organisational-structure/selection-committees/

კრიტერიუმების არარსებობის გამო, რამდენიმე წლის განმავლობაში განსხვავებული პროგრამების კომისიაში ერთი და იგივე წევრები მონაწილეობენ:

დიაგრამა №4.1.1 კომისიის წევრების განმეორებით მონაწილეობა პროგრამებისა და წლების მიხედვით



ერთი და იმავე პირების მხრიდან წლების განმავლობაში კომისიის შემადგენლობაში განმეორებით ყოფნა და ის ფაქტი, რომ კონკურსანტებისთვის წინასწარ ცნობილია კომისიის წევრთა ვინაობა, ზრდის კონკურსანტების მხრიდან წევრებზე ზემოქმედების რისკებს.

გარდა იმისა, რომ ცენტრს არ აქვს შემუშავებული კომისიის წევრების დანიშვნის ვადები, DAAD-ის პრაქტიკისგან განსხვავებით, ცენტრის სასტიპენდიო პროგრამებში კომისიის წევრები საქმიანობის სანაცვლოდ არ იღებენ ანაზღაურებას. ჰონორარის არარსებობა ამცირებს სხვადასხვა დარგის პროფესიონალების მოტივაციას, დათანხმდნენ ცენტრის შეთავაზებას საკონკურსო კომისიაში ჩართვასთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღონ კონკურსანტთა შერჩევის პროცესში. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ზრდის ინტერესთა კონფლიქტის რისკებს.

4.2 კონკურსანტთა შერჩევის ნაკლოვანებები

საკონკურსო კომისია სხდომის ოქმით განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს. კრიტერიუმები გაწერილია კონკურსის თითოეული ეტაპის მიხედვით.

სასტიპენდიო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შესწავლის და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ წლების განმავლობაში ეტაპობრივად მოხდა ქვეკრიტერიუმების გაუქმება და ამჟამად კრიტერიუმები წარმოდგენილია განზოგადებული სახით. კერძოდ, 2014-2016 წლებში, შეფასების თითოეული ეტაპისათვის, კრიტერიუმები დეტალურად იყო გაწერილი და განმარტებული – დამატებითი შეკითხვებით (ქვეკრიტერიუმებით).

2014 წლის საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში განათლების კრიტერიუმი დაკონკრეტებული იყო შემდეგი ქვეკრიტერიუმებით:

- მაღალი აკადემიური მოსწრება;
- უნივერსიტეტში სწავლის სირთულის დონე;
- აპლიკანტს უკვე მოპოვებული აქვს სხვა სასწავლო გრანტი ან მიმღები უნივერსიტეტის სტიპენდია;
- შერჩეული უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულება შედის პრიორიტეტულ ასეულში ან არის წამყვანი შერჩეულ დარგში;
- არჩეული სპეციალობის რელევანტურობა პრიორიტეტულ დარგებთან მიმართებაში.

სამოტივაციო წერილი კი ფასდებოდა შემდეგი ქვეკრიტერიუმების მიხედვით:

- რამდენად გამართულია ტექსტი ლოგიკურად;
- რამდენად კარგად არის განსაზღვრული სწავლის მიზნები;
- რამდენად კარგად ასაბუთებს აპლიკანტი საზღვარგარეთ სწავლის მნიშვნელობას;
- რამდენად კარგად წარმოაჩინა აპლიკანტმა თუ როგორ მოახდენს უცხოეთში მიღებული ცოდნის რეალიზებას საქართველოში დაბრუნების შემდეგ;
- ზოგადად რამდენი ქულით შეაფასებდით აპლიკანტის სამოტივაციო წერილს 1-5-ბალიან სისტემაში.

2017 წლიდან მსგავსი სახის განმარტებები აღარ არსებობს და შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც კომისიის წევრებს აძლევთ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთანავე, ზოგიერთი კრიტერიუმი საჭიროებს დამატებით აღწერას. მაგალითად, განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა ისეთი შეფასების კრიტერიუმი, როგორიცაა:

- განაცხადის საერთო სიძლიერე;
- სამომავლო გეგმები;
- აპლიკანტის სახელმწიფოებრივი ხედვა;
- კონკურსანტის პასუხისმგებლობა, მზაობა და სასტიპენდიო პროგრამის მიმართ მისი დამოკიდებულება.

აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლა იმ სასტიპენდიო პროგრამების 54 კონკურსანტისათვის კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულები, რომელთა შეფასებაზეც მოქმედებდა ზემოაღნიშნული კრიტერიუმები.

კონკურსში მონაწილე პირები ერთი და იმავე კრიტერიუმით კომისიის წევრებისაგან შეფასებულნი არიან ქულათა დიდი სხვაობით. შერჩეული 54 კონკურსანტიდან კომისიის სხვადასხვა წევრისგან შეფასების 10-ქულიანი სისტემის პირობებში, 5-ქულიანი სხვაობით აქვთ მიღებული შეფასებები სტუდენტთა შემდეგ რაოდენობას:

დიაგრამა №4.2.1 კონკურსანტთა რაოდენობა, რომლებიც კომისიის წევრების მიერ შერჩეულ კრიტერიუმებში 5-ქულიანი სხვაობით არიან შეფასებულნი



ზემოთ აღნიშნული სხვაობების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები არ არის დეტალურად გაწერილი, ბუნდოვანია და საჭიროებს დამატებით განმარტებას, რაც ზრდის კონკურსანტთა მიმართ არათანაბარი მიდგომის შესაძლებლობას.

აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 2018-2019 წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა და დეტალურად შეისწავლა კომისიის წევრების მიერ მე-2 და მე-3 ეტაპებზე თითოეული კრიტერიუმის მიხედვით კონკურსანტისათვის მინიჭებული ქულები.

ქულათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომისიის წევრებს ისეთი ერთგვაროვნად გაზომვადი კრიტერუმების მიხედვითაც კი, როგორიცაა, განათლება და გამოცდილება, კომისიის სხვადასხვა წევრის მიერ ერთი და იგივე კონკურსანტი შეფასებულია მნიშვნელოვნად განსხვავებული ქულებით. ამ შემთხვევებში, განსხვავება შეფასების 10-ქულიანი სისტემის პრობებში შეადგენს, მინიმუმ, 5 ქულას.

დიაგრამა №4.2.2 საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა 2018-2019-ის ფარგლებში კომისიის წევრების მიერ 5-ქულიანი სხვაობებით შეფასებულ კონკურსანტთა პროცენტული მაჩვენებელი კრიტერიუმების მიხედვით

ანალიზის შედეგად ასევე გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

აპლიკაციის შეფასების ეტაპზე კომისიის ერთი და იმავე წევრის მიერ ერთი და იმავე უნივერსიტეტის დიპლომი სხვადასხვა აპლიკანტის შემთხვევაში, შეფასებულია მნიშვნელოვნად განსხვავებული ქულებით, მაგალითად:

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის მიმართულების ბაკალავრის დიპლომში სხვადასხვა კონკურსანტი კომისიის წევრ B-ს მიერ შეფასებულია განსხვავებულად – 2 და 8 ქულებით; კონკურსანტი, რომელსაც მიენიჭა 2 ქულა, აღნიშნულ კრიტერიუმში კომისიის დანარჩენი 6 წევრის მიერ შეფასდა საშუალო ქულით – 8,3. არც ერთ სხვა წევრს არ შეუფასებია კონკურსანტი 8-ზე ნაკლები ქულით;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის დიპლომი კომისიის წევრ A-ს შეფასებული აქვს 0 და 10 ქულებით. ერთ-ერთ კონკურსანტს, რომელიც ამ წევრის მიერ შეფასდა 0 ქულით, მე-3 ეტაპზე გადასასვლელად საჭირო გამსვლელ ქულამდე დააკლდა მხოლოდ 0,1 ქულა. იგი კომისიის დანარჩენი 6 წევრის მიერ შეფასდა საშუალო – 6,5 ქულით, ხოლო ის აპლიკანტი, რომელიც კომისიის წევრ A-ს მიერ შეფასდა 10 ქულით, კომისიის სხვა წევრების მიერ შეფასდა, საშუალოდ – 6 ქულით. აღსანიშნავია, რომ ორივე კონკურსანტს თანაბარი GPA ჰქონდა;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის დიპლომი, კომისიის წევრ A-ს ერთი კონკურსანტისთვის შეფასებული აქვს 0 ქულით და იგივე დიპლომი 3 კონკურსანტისთვის – 10-10 ქულით. პირველ კონკურსანტს უარი ეთქვა, ხოლო 3-დან ერთი დაფინანსდა, 2 კონკურსანტი კი მოხვდა დასაფინანსებელთა სარეზერვო სიაში.

კომისიის წევრების მხრიდან გაურკვევლად არის შეფასებები გაკეთებული გამოცდილების კრიტერიუმშიც, კერძოდ:

- 19-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე ერთ-ერთი სამინისტროს სამმართველოს უფროსი შეფასებულია კომისიის წევრ B-ს მიერ 5 ქულით, რაც ნიშნავს, რომ კონკურსანტი კრიტერიუმებს აკმაყოფილებს საშუალო დონეზე, მაშინ როცა 8 ქულა (აღნიშნული კომისიის წევრ B-ს უმაღლესი შეფასება გამოცდილების კრიტერიუმში) მინიჭებული აქვს 3-წლიანი გამოცდილების მქონე კონკურსანტისთვის, რომელიც დასაქმებული იყო სტაჟიორად. პირველ კონკურსანტს 1,6 ქულა დააკლდა მე-3 ეტაპზე გადასასვლელად;
- კომისიის წევრ A-ს 5 ქულით ჰყავს შეფასებული 8-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე პროექტის მენეჯერი, რომლისთვისაც აღნიშნულ კრიტერიუმში კომისიის სხვა 6 წევრის მიერ მინიჭებული საშუალო ქულა არის 8,7, ხოლო 10 ქულით ჰყავს შეფასებული 6-წლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, რომელიც 1,6 ქულით გადასცდა ბარიერს და გადავიდა მე-3 ეტაპზე.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ერთ კონკურსანტთან მიმართებაში, ერთსა და იმავე კომისიის წევრს მე-2 და მე-3 ეტაპებზე ერთსა და იმავე კრიტერიუმში მნიშვნელოვნად განსხვავებული ქულები აქვთ გამოყენებული, მაგალითად:

- კომისიის წევრ A-ს კონკურსანტ X-ისთვის მე-2 ეტაპზე განათლებისა და გამოცდილების კრიტერიუმებში მინიჭებული აქვს 8-8 ქულა, ხოლო მე-3 ეტაპზე კრიტერიუმში: განათლება და გამოცდილება[21] – 2 ქულა;

21 კონკურსის მე-2 ეტაპზე განათლებისა და გამოცდილების კრიტერიუმები ფასდება ცალ-ცალკე, ხოლო მე-3 ეტაპზე – ერთად და შეფასების ერთი კრიტერიუმია.

- კომისიის წევრ A-ს კონკურსანტი Y მე-2 ეტაპზე განათლებისა და გამოცდილების კრიტერიუმებში შეფასებული ჰყავს, შესაბამისად, 0 და 5 ქულებით, ხოლო მე-3 ეტაპზე კრიტერიუმში: განათლება და გამოცდილება – 10 ქულით. აღნიშნულ კრიტერიუმში ამ კონკურსანტის საშუალო ქულა (კომისიის A წევრის ქულის გაუთვალისწინებლად), მე-2 ეტაპზე შეადგენდა 6,8 ქულას, ხოლო მე-3 ეტაპზე – 5,6 ქულას.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მიდგომა გამოიყენება არა მხოლოდ კონკურსანტთა შერჩევის ეტაპზე, არამედ უკვე დაფინანსებულ ბენეფიციარებთან მიმართებითაც, კერძოდ, კომისიის მიერ მათთვის სწავლის დასრულების შემდგომ საზღვარგარეთ გამოცდილების დაგროვების მიზნით ერთწლიანი დარჩენის უფლების მინიჭებისას.

პროგრამის ბენეფიციარს უფლება აქვს სწავლის დასრულების შემდეგ, სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით, არა უმეტეს ერთი წლის ვადით დარჩეს საზღვარგარეთ. 2015-2020 წლებში ცენტრს აღნიშნული უფლების გამოყენების მოთხოვნით მიმართა 57-მა ბენეფიციარმა. მათგან კომისიამ ერთ პირს მისცა 14 თვით – დადგენილ ნორმაზე 2 თვით მეტით, დარჩენის უფლება, მაშინ როცა 3 ბენეფიციარს არ მიეცა სწავლის დასრულების შემდგომ 12 თვეზე მეტი დროით საზღვარგარეთ დაყოვნების უფლება.

სურათი №4.2.1 კომისიის მიერ განსხვავებული მიდგომის მაგალითები

კონკურსანტებს შესაძლებლობა აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მეორე ეტაპზე კონკურსანტის აპლიკაცია ფასდება შინაარსობრივად და შედეგი (შეფასების ქულა) დადოკუმენტირებულია. შესაბამისად, სასამართლოსთვის აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მტკიცებულებას, რითიც შესაძლებელია შეფასდეს კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების სამართლიანობა. რაც შეეხება კონკურსის მესამე ეტაპს, ვინაიდან ცენტრის მიერ ფორმდება ოქმი, სადაც დეტალურად არ არის აღწერილი შეფასების პროცესი და შეუძლებელია სრულად იქნეს აღდგენილი გასაუბრების პროცესი. აქედან გამომდინარე, სასამართლოსთვის არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გახდებოდა მესამე ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილების შეფასების საფუძველი.

ცენტრის წინააღმდეგ მიმდინარე ერთ-ერთ დავასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გასაუბრების ოქმი არაინფორმაციულია და არ იძლევა გასაუბრების პროცესის ანალიზის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ აუდიტის პერიოდისათვის ცენტრს გასაუბრებასთან დაკავშირებით 4 სასამართლო საქმეზე ჰქონდა დავა. ცენტრში არსებული პრაქტიკა არ იძლევა გასაუბრების პროცესის სრულად აღდგენის შესაძლებლობას, რაც ამცირებს პროცესის გამჭირვალობასა და სანდოობას.

4.3 სწავლის პროცესში ბენეფიციართა მონიტორინგის ნაკლოვანებები

2017 წლიდან ცენტრსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია გრანტის გამცემის მიერ შეთახმებული პირობების შესრულებაზე მონიტორინგის წესი. წესის მიხედვით, მონიტორინგი ხორციელდება გრანტის მიმღებისგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და სხვა შესაბამისი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე. ამასთანავე, მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრი უფლებამოსილია გრანტის მიმღების მხრიდან წინასწარი დამატებითი თანხმობის გარეშე მიიღოს მის შესახებ ნებისმიერ მესამე პირთან, მათ შორის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაცული პირადი (პერსონალური) ინფორმაცია/მონაცემი. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, გრანტის მიმღები აცხადებს წინასწარ თანხმობას, ხელშეკრულების ფარგლებში მის პერსონალურ მონაცემებზე/ინფორმაციაზე გრანტის გამცემის შეუზღუდავი წვდომისა და დამუშავების შესახებ. ამისთვის, გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საჭიროების შემთხვევაში, სხვა მესამე პირების წერილობითი ინფორმირების შესახებ.[22]

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში ნათლად არის გაწერილი ინფორმაციის მესამე მხარისგან მიღების შეუზღუდავი შესაძლებლობა, ცენტრს არ აქვს უშუალოდ უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია, იქ ჩარიცხული სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური ნორმების მონიტორინგის მიზნით და შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაციით.

ვინაიდან ცენტრი არ იყენებს ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებას და არ აქვს კომუნიკაცია უნივერსიტეტებთან სტუდენტთა მონიტორინგის მიზნით, შედეგად იზრდება რისკი, რომ პროცესი არ განხორციელდება სათანადოდ და სწორად ვერ შეფასდება, მიღწეულ იქნა თუ არა გრანტის გაცემის ძირითადი მიზნები.

„ერასმუსის“ ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები, მათ შორისაა:

- პროგრამაზე დადგენილი წესების შეუსრულებლობა;
- 15%-ზე მეტი გაცდენები;
- სანქციები დისციპლინური გადაცდომებისთვის;
- სტუდენტი კარგავს სტატუსს იმ შემთხვევაშიც, თუ თითოეული სემესტრის ბოლოს არ ექნება ჩაბარებული რეგისტრირებული საგნების კრედიტების 60%-ზე მეტი.[23]

ცენტრი თითოეული სემესტრის ბოლოს დაფინანსებული სტუდენტებისგან ითხოვს ნიშნების ფურცელს, თუმცა ბენეფიციარის შეფასებები არ არის შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღების საფუძველი. ობიექტის განმარტებით, ქულის წარმოდგენაზე არ არის დამოკიდებული თანხის გადახდა, თუმცა თუ დადგინდა, რომ სტუდენტს სტატუსი შეუწყდა ან სტუდენტს აქტიურ სტატუსთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა აქვს, რაც ეჭვქვეშ აყენებს მთავარ მიზანს – შესაბამისი ხარისხის მოპოვებას, თანხა არ გადაირიცხება.

---

22 გრანტის შესახებ ხელშეკრულება, მუხლი 10.

23 http://www.emm-nucphys.eu/sites/default/files/student_agreement_nucphys_-2017_-_2019.pdf

აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითი პრინციპით შეარჩია და შეისწავლა 2014-2018 წლებში ცენტრის მიერ სხვადასხვა აკადემიური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარების აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: შერჩეული 34 ბენეფიციარიდან სემესტრული ქულები არ აქვს წარმოდგენილი 16 სტუდენტს, რაც საერთო რაოდენობის 47%-ს შეადგენს.

გარდა ამისა, მაღალი აკადემიური მოსწრება სტუდენტისთვის მხოლოდ მეორე და შემდეგი წლების დაფინანსების მოპოვების საფუძველია. იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთწლიან პროგრამაზე ირიცხება, ცენტრი მნიშვნელობას არ ანიჭებს მის საბოლოო აკადემიურ მოსწრებას, საკმარისია მხოლოდ დიპლომის წარდგენა.

შერჩეული 34 ბენეფიციარიდან 5 შემთხვევაში (15%), წარდგენილ დიპლომში არ ფიქსირდება კურსდამთავრებულის საბოლოო შეფასება, 10 ბენეფიციარი დაფინანსებულია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში და არ არის მათი წლიური აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი. შესაბამისად, არ არის ცნობილი ბენეფიციარების მიღწევები საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში.

დიაგრამა №4.3.1 შერჩეული 34 ბენეფიციარის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია



ცენტრსა და ბენეფიციარებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული გრანტის მიმღების ვალდებულება სწავლის სტანდარტულ დროში დასრულების შესახებ. აღნიშნული პირობა ვრცელდება ცენტრის მიერ განხორციელებულ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების ფარგლებში, რომლის მიხედვით გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას, პროგრამით გათვალისწინებულ სტანდარტულ დროში დაასრულოს სწავლა (მაქსიმუმ 2 წელი – სამაგისტრო პროგრამებზე, მაქსიმუმ 5 წელი – სადოქტორო პროგრამებზე).

აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩეული 29 ბენეფიციარიდან 4-ს განსაზღვრულ სასწავლო წელზე დამატებული აქვს სემესტრი ან მთელი წელი. გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია:

- ერთ სტიპენდიანტს, რომელიც ჩარიცხული იყო 2-წლიან პროგრამაზე, შესაბამისი ქულის წარმოუდგენლობის გამო არ დაუფინანსდა მეორე სასწავლო წელი. აღნიშნულ წელს მან აიღო აკადემიური შვებულება ფინანსურის სახსრების მოსაძიებლად;
- ერთ-ერთმა სტიპენდიანტმა მეორე სასწავლო წლის დაფინანსების გასაგრძელებლად დროულად ვერ წარმოადგინა სრულყოფილი განაცხადი. შესაბამისად, აღნიშნული

სასწავლო წლის საკუთარი სახსრებით დაფინანსება მოუწია, ამ ყოველივემ სწავლის პროცესი შეაფერხა;

- 2 სტუდენტს გავლილი აქვს სრული კურსის 2 სასწავლო წელი, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის დაწუნების ან გახანგრძლივების გამო, გადავადებული აქვთ სწავლის დასრულებისა და ქვეყანაში დაბრუნების თარიღი. აღნიშნული მიზეზები უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დოკუმენტებში არ ჩანს.

ცენტრის სამმა ბენეფიციარმა სწავლა გააგრძელა სადოქტორო პროგრამაზე. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ამ ბენეფიციარებს მიეცათ შესაძლებლობა დარჩენილიყვნენ საზღვარგარეთ.

კონტროლის მექანიზმების ნაკლებობის შედეგად, ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა სწავლის პერიოდი გაახანგრძლივონ ერთი სემესტრით ან ერთი წლით. მიუხედავად იმისა, რომ დამატებით სემესტრსა და წელს ცენტრი არ აფინანსებს, აღნიშნული პირობის არარსებობა ბენეფიციარების მხრიდან სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების გადავადების შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამებში სწავლის დასრულების განსხვავებული ვადების არსებობა არათანაბარ პირობებში აყენებს ცენტრის ბენეფიციარებს.

4.4 შედეგების შეფასებისა და კურსდამთავრებულთა მონიტორინგის ნაკლოვანებები

განათლების საერთაშორისო ცენტრის გრანტის მიმღების ვალდებულება ცენტრისა და სახელმწიფოს წინაშე წლების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა პროგრამის მიზანი – საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზება, უცვლელია. 2014-2015 წლებისა და 2015-2016 წლების ბენეფიციარები იღებდნენ ვალდებულებას, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, მინიმუმ, 3 წლის განმავლობაში დასაქმდებოდნენ საქართველოში, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სფეროში/დაწესებულებაში. ცენტრმა პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული 134 ბენეფიციარიდან დასაქმება მხოლოდ 13 ბენეფიციარს შესთავაზა.[24]

2016-2017 სასაწავლო წლიდან ბენეფიციარებისთვის სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება შეიცვალა შემდეგნაირად: ბენეფიციარი ვალდებულია დაბრუნდეს საქართველოში სწავლის დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, დარჩეს ქვეყანაში 3 წელი და დასაქმდეს საქართველოში შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში. თუმცა, აღნიშნული პირობა მოქმედებს საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ბენეფიციარებისთვის, ხოლო საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამის და საფრანგეთის სამაგისტრო პროგრამების[25] ბენეფიციარებისთვის გაწერილია განსხვავებული ვალდებულება. კერძოდ, მათთვის არ არის განსაზღვრული სწავლის დასრულების შემდგომ ქვეყანაში დაბრუნების ვადა, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს სხვადასხვა პროგრამის ბენეფიციარებს.

---

24 ობიექტის განმარტებით, დასაქმების შეთავაზების ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახდა საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე: თუ სახელმწიფო 6 თვის ვადაში ბენეფიციარებს ვერ შესთავაზებდა დასაქმებას, თავისუფლდებოდნენ დასაქმების ვალდებულებისგან, ამიტომ შეიცვალა ვალდებულების პირობა.

25 2019 წლიდან საფრანგეთის სამაგისტრო პროგრამებში ჩაიდო დაბრუნების ვადა.

აუდიტის პერიოდისათვის ცენტრს არ ჰქონდა განხორციელებული ბენეფიციართა მხრიდან ვალდებულების შესრულების სისტემური მონიტორინგი. მონიტორინგის წესი ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა 2019 წლის 24 ოქტომბერს.[26] დოკუმენტი არ არის დეტალური და მასში არ არის გაწერილი მონიტორინგის პროცედურები და ვადები.

ცენტრი ბენეფიციარებისგან ითხოვს დიპლომის და დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას. 2015-2018 წლებში დაფინანსებულ კურსდამთავრებულთაგან აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 29 სტუდენტი, რომელთაც ცენტრის მიერ უფიქსირდებოდათ ვალდებულების ერთ-ერთი ნაწილის შეუსრულებლობა და შეისწავლა მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შერჩეული ბენეფიციარებიდან აუდიტის პერიოდში ცენტრში სწავლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ჰქონდა 8 ბენეფიციარს, ხოლო 3 შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო საქმისწარმოება. 8-დან 6 ბენეფიციარზე ცენტრის მიერ ანაზღაურებულმა თანხის ოდენობამ შეადგინა 701,302 ლარი.

ცენტრის მიერ სათანადოდ არ ხორციელდება ვალდებულების შესრულების პერიოდული მონიტორინგი დასაქმების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების მიმართულებით. 2015-2018 წლებში ცენტრში დასაქმების ცნობა წარმოდგენილი აქვს 138 ბენეფიციარს. ამ პირებიდან 52 მათგანს – 38%-ს, 2020 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში არც ერთ თვეში არ უფიქსირდება შემოსავალი ხელფასის ან მომსახურების ანაზღაურების სახით.[27]

გარდა ამისა, ფიქსირდება 6 ისეთი შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარის მიერ ცენტრში წარმოდგენილია ცნობა დასაქმების შესახებ და იმ პერიოდში აღნიშნული პიროვნება არ იმყოფებოდა ქვეყანაში.[28] აღნიშნულ ბენეფიციარებს ხელშეკრულების მიხედვით არ მოეთხოვებოდათ ქვეყანაში 3 წლით დაყოვნება, თუმცა აღსანიშნავია ფაქტების ერთმანეთთან შეუსაბამობა. ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის ილუსტრაცია:

სურათი №4.4.1 პროგრამის ერთ-ერთი ბენეფიციარის მიერ დასაქმებისა და ქვეყანაში დაყოვნების ერთმანეთთან შეუსაბამობის მაგალითი

26 სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის №32-19 ბრძანება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების ფარგლებში გაფორმებული გრანტის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესი“.

27 შემოსავლების სამსახურის მონაცემების მიხედვით.

28 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მსგავსი შემთხვევების არსებობა მიუთითებს, რომ ცენტრს არ აქვს დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის შესაძლებლობას.

ცენტრი ბენეფიციართა მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, არ თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მაგალითად, შემოსავლების სამსახურთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ცენტრს ექნებოდა შესაძლებლობა განეხორციელებინა სათანადო მონიტორინგი, რამდენად ეფექტიანად და პროდუქტიულად არის მიმართული ფინანსური სახსრები ბენეფიციარებზე და შეეფასებინა პროგრამის მიზნების მიღწევის პროგრესი.

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა 2020 წლის პირველი 6 თვის ინფორმაცია ცენტრის ბენეფიციარების დასაქმების მაჩვენებლის შესახებ. შეირჩა ცენტრის მიერ დაფინანსებული 288 ბენეფიციარი, რომლებსაც სწავლა ჰქონდა დასრულებული[29] და აუდიტის პერიოდში უნდა ყოფილიყვნენ დასაქმებულნი. 2020 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, 101 მათგანს (35%-ს) არც ერთ თვეში არ მიუღია შემოსავალი ხელფასის ან/და მომსახურების ანაზღაურების სახით.[30] შედეგად, სათანადოდ არ არის მიღწეული პროგრამის ძირითადი მიზანი – არ ხდება სახელმწიფოს სახსრებით დაფინანსებულ ბენეფიციართა მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზება.

პროგამის მიზანია საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდა, რაც გულისხმობს იმას, რომ ცენტრის მიერ დაფინანსებული ბენეფიციარები უნდა დაბრუნდნენ და დასაქმდნენ ქვეყანაში. ინფორმაციის ანალიზიდან ჩანს, რომ 85 ბენეფიციარის[31] მიერ მიღებული ცოდნის რეალიზება არ ხდება ქვეყანაში. მათგან 31 არის 2014-2015 წლების იმ პროგრამების ბენეფიციარი, სადაც სახელმწიფო იღებდა მათი დასაქმების ვალდებულებას. ვინაიდან ვერ შესრულდა აღნიშნული პირობა, შეუძლებელია ამ ბენეფიციარებზე მიმართული დაფინანსების დაბრუნება სახელმწიფოს მიერ (21 ბენეფიციარზე გადარიცხულია 2,074,106 ლარი). 33 ბენეფიციარის შემთხვევაში, ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი სწავლის დასრულების შემდგომ ქვეყანაში დაბრუნების ვადები, რაც აფერხებს ვალდებულების დარღვევის იდენტიფიცირების პროცესს და ბენეფიციარებს აძლევს შესაძლებლობას განუსაზღვრელი დროით გადაავადონ ქვეყანაში დაბრუნება და დასაქმება. აღნიშნული პირებიდან 21 ბენეფიციარზე სახელმწიფოს ანაზღაურებული აქვს 1,795,387 ლარი, ხოლო 12 ბენეფიციარზე მიმართული ფინანსური რესურსის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, ვინაიდან ისინი ერთობლივი პროგრამების მონაწილეები არიან და ყველა ბენეფიციარის თანხა ირიცხება ერთიანად. ცენტრის 21 ბენეფიციარიდან, რომელთაც დარღვეული აქვთ ქვეყანაში 3-წლიანი დაყოვნების ვალდებულება და მათზე მიმართულია 1,065,872 ლარი, 8 ბენეფიციარის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, 4 ბენეფიციარის მიერ დარღვევის ფაქტი ცენტრს აქვს დაფიქსირებილი, თუმცა სასამართლოში სარჩელი არ არის შეტანილი.

---

29 ერთი წლის ვადით საზღვარგარეთ დარჩენის უფლების გამოყენების გათვალისწინებით.

30 შემოსავლების სამსახურის მონაცემების მიხედვით.

31 მოიცავს იმ პირებს, ვინც სწავლის დასრულებისა და გამოცდილების დაგროვების მიზნით გამოყენებული ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყვნენ ქვეყანაში, თუმცა შსს-ს ინფორმაციით უფიქსირდებათ მუდმივი მიმოსვლა უცხოეთში და შემოსავლების სამსახურის ინფორმაციის მიხედვით არ იყვნენ დასაქმებულნი 2020 წლის პირველ ნახევარში.

ცხრილი №4.4.1 ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთა ცოდნის რეალიზება არ ხდება ქვეყანაში

პროგრამის წელი	ბენეფიციარის ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით	ბენეფიციართა რაოდენობა	გადახდილი თანხა (ლარი)
2014-2015	სწავლის დასრულების შემდეგ, მინიმუმ, 3 წლის განმავლობაში დასაქმდეს საქართველოში, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სფეროში/ დაწესებულებაში.	31	2,074,106
2015-2016 2016-2017 2017-2018	სწავლის დასრულების შემდეგ, 3 წლამდე ვადით დასაქმდეს საქართველოში, შესაბამის სფეროში/ დაწესებულებაში.	33	1,795,387
2016-2017 2017-2018 2018-2019	დაბრუნდეს საქართველოში არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, დარჩეს ქვეყანაში 3 წლით და დასაქმდეს საქართველოში, შესაბამის სფეროში/ დაწესებულებაში.	21	1,065,872
სულ:		85	4,935,365

ზემოთ განხილული შემთხვევები მიუთითებს ბენეფიციართა სწავლის დასაფინანსებლად მიმართული თანხების არაეფექტიანად ხარჯვაზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია დააბრუნოს ცენტრიდან მიღებული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. 2018-2020 წლებში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ბენეფიციარის მხრიდან დასაბრუნებელი იყო 523,675 ლარი, დაბრუნდა 271,328.27 ლარი (52%).

2017 წლიდან ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო თანხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვის უფლებამოსილება. მიუხედავად ამისა, ცენტრს აღნიშნული უფლება არ აქვს გამოყენებული და არ მომხდარა პირგასამტეხლოს დაკისრება.

ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, არ განხორციელებულა შესაბამისი კვლევა ან ანალიზი მისი დაარსებიდან აუდიტის პერიოდამდე. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა ჩაატარა ცენტრის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი. მათი რეკომენდაციის მიხედვით, მიზანშეწონილი იყო პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შეფასების მიზნით ცენტრს შეემუშავებინა შესაბამისი კრიტერიუმები და განეხორციელებინა კვლევა, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ცენტრს არ შეუსრულებია.

დასკვნა

ცენტრში არ არის გაწერილი საკონკურსო კომისიის წევრების შერჩევის კრიტერიუმები, დანიშვნის პირობები და ვადები, პროფესიული და საკვალიფიკაციო მოთხოვნები პროგრამების მიმართულებებისა და სპეციფიკის მიხედვით. შედეგად, ერთი და იგივე პირები წლების განმავლობაში არიან განსხვავებული პროგრამების კომისიის შემადგენლობაში. ამასთანავე, კონკურსანტებისთვის წინასწარ ცნობილია კომისიის წევრების ვინაობა და შესაბამისად, იზრდება მათი მხრიდან წევრებზე ზემოქმედების რისკები.

ცენტრის მიერ დამტკიცებული აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები ზოგადია და არ არის განმარტებული. ასეთი კრიტერიუმების არსებობა იძლევა კომისიის მხრიდან განსხვავებული ინტერპრეტაციისა და კონკურსანტების მიმართ არათანაბარი მიდგომის შესაძლებლობას. შედეგად, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც იდენტური განათლებისა და გამოცდილების მქონე კონკურსანტების მიმართ კომისიის წევრები იყენებენ მკვეთრად განსხვავებულ მიდგომას.

ცენტრში არსებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს კონკურსის მესამე ეტაპის – კონკურსანტთა გასაუბრების პროცესის სრულად აღდგენის შესაძლებლობას, რაც ამცირებს პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას.

ცენტრში არ არის დანერგილი საზღვარგარეთ სწავლის პროცესში ბენეფიციართა ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები და არ ხორციელდება უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ. ამასთანავე, ბენეფიციართა სემესტრული შეფასება არ წარმოადგენს სტიპენდიის გაგრძელების წინაპირობას. შესაბამისად, ცენტრში დანერგილი ასეთი პრაქტიკა ზრდის რისკს, რომ დაფინანსების მიღების შემდეგ შემცირდება სტუდენტების მოტივაცია – სწავლა განაგრძონ მაღალი აკადემიური მოსწრებით.

ცენტრში არ არის დანერგილი ბენეფიციართა მხრიდან ვალდებულების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმები. კერძოდ, ცენტრი ინფორმაციის მიღების მიზნით არ თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და არ ფლობს მონაცემებს მათი დასაქმებისა და ქვეყანაში დაბრუნების შესახებ. აღნიშნული აფერხებს როგორც პროგრამის ეფექტიანობის შეფასების პროცესს, ასევე რეგულაციებით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას.

სამინისტროსა და ცენტრის მიერ არ განხორციელებულა ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და ანალიზი. შესაბამისად, ისინი არ ფლობენ ინფორმაციას რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს და რამდენად პროდუქტიულად და ეფექტიანად იხარჯება ცენტრისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

რეკომენდაციები ცენტრს:

რეკომენდაცია N 3

კონკურსანტთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის ამაღლების მიზნით, შემუშავდეს კომისიის წევრების შერჩევის მეთოდოლოგია, სადაც დეტალურად იქნება

განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმები, პროფესიული და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როტაციის პირობები და ვადები.

რეკომენდაცია N 4

კონკურსანტთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, დეტალურად იქნეს განმარტებული შეფასების თითოეული კრიტერიუმი, რათა შემცირდეს კომისიის წევრების მხრიდან კრიტერიუმების განსხვავებული ინტერპრეტაციისა და კონკურსანტთა მიმართ არათანაბარი მიდგომის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N 5

კონკურსის პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნეს კონკურსის მესამე ეტაპის – კონკურსანტთა გასაუბრების პროცესის სრულად აღდგენის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N 6

პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის შესაფასებლად, მიღებულ იქნეს ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან და განხორციელდეს გრანტის მიმღებთა მხრიდან ვალდებულების შესრულების პერიოდული მონიტორინგი. ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, განხორციელდეს ხელშეკრულების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება, შეფასდეს მათი თანხვედრა ცენტრის მიზნებთან და მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაცია სამინისტროსა და ცენტრს:

რეკომენდაცია N 7

შეფასდეს პროგრამის მიზნების მიღწევის მაჩვენებლები, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები სახელმწიფო რესურსების ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენების მიზნით.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის №533 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №201 დადგენილება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №549 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების საერთაშორისო ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №183 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №465 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №180/ნ ბრძანება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული პროგრამები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 28 ნოემბრის №455 ბრძანება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამების მიზნებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 31 მარტის №102 ბრძანება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამების მიზნებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №45/ნ ბრძანება „2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის №32-19 ბრძანება „სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების ფარგლებში გაფორმებული გრანტის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესი“.

საერთაშორისო პრაქტიკა

- გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამები – DAAD.
- ევროკავშირის საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამა – Erasmus.

ვებგვერდები

- http://gov.ge/files/68_73407_808965_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%902019-2020.pdf – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- https://www.europubhealth.org/images/pdf/Eligibility_criteria_EMMC_scholarships.pdf – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- http://masternursing.emjmd.eu/admission/selection – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- http://iec.gov.ge/portals/_default/Skins/Xcillion/Images/File/ganaTlebis%20saerTaSoriso%20centris%20angariSi%20saboloo%20qurvi.pdf – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus/events/info-day-erasmus-mundus-joint-master-degrees_en – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- http://www.emm-nucphys.eu/sites/default/files/student_agreement_nucphys_-2017_-_2019.pdf – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- https://www.daad.de/en/the-daad/who-we-are/organisational-structure/selection-committees/ -უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/about_en – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/student_selection_scholarship_management-final.pdf – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.
- http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=3f4d3d8f-e53a-4292-923e-ee2527bcb2f3 – უკანასკნელად გადამოწმდა 23.12.2020.

აუდიტორთა ხელმოწერა: **სახელი, გვარი**	**ხელმოწერა**
თამარ ზურაშვილი უფროსი აუდიტორი	
ნინო ნიშნიანიძე უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE